ხელშეკრულება 54 /06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი **28.01.2016 წელი**

ერთის მხრივ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ერმი ქემოკლიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „სტარი" წარმოდგენილი დირექტორის გ. კაპანაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექ ზამთრის სკოლის „მიკრო და ნანო სტრუქტურების კვლევის მეთოდები"-ის დაფინანსებით, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მოწვეული სტუმრებისათვის სასტუმრო მომსახურების (წარმომადგენლობითი ხარჯი CPV: 55100000) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

დასახელება	პერიოდი	სტუმრების რაოდენობა	საერთო ღირებულება
სასტუმრო მომსახურება	31.01.2016-09.02.2016	28 პერსონა	14000.00 ლარი

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: 14000.00 (თოთხმეტიათასი ლარი) ლარი.

3. ხელშეკრულების კონტროლი

3.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს პროექტის ხელმძღვანელი.
3.2. ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის და ხარისხის კონტროლს.
3.3. მომსახურების გაწევისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე ეტაპობრივად გაფორმებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების - აქტის (მიღება - ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის), მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/საბოლოო ინვოისის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დოკუმენტების სრულყოფილი სახით გაფორმებისა და პროექტის ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული პროფილური სტრუქტურული ერთეულის დადებითი დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების შუალედური აქტით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: სიღნაღი. სატუმრო "სიღნაღი"
6.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 31 იანვარი-09 თებერვალი.

7. ხელშეკრულების პირობების შესრულება

7.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 1 % ოდენობით.
7.2. თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს მას პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1 % ოდენობით.

8. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

9. სხვა პირობები

9.1. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება - „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

_____

ივ.ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მისამართი:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1
საბანკო რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
ერ. გრანტი
3204050102
საიდენტიფიკაციო კოდი:
204864548

ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის მ.შ.

_____
/ე.ქემოკლიძე/

მიმწოდებელი

_____

შ.პ.ს „სტარი"

მისამართი:
თბილისი, კფანასკერტელის ქ 13ა
საბანკო რეკვიზიტები:
სს თიბისი ბანკი
ა/ა GE93TB3821136020100002
ბანკის კოდი: TBCBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი:
205158611

შ.პ.ს „ სტარი"
დირექტორი:

_____
/გ. კაპანაძე/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: /ი.სალარეიშვილი/

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი: /ა.კუკულავა/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

28.01.2016წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში შპს „სტარი-სთან".

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოადგიოლე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალეობის შესრულებელი ე. ქემოკლიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი.საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავა

თსუ შესყივების განყოფილების
მთავარი სპეციალისტი მ .მაზმიშვილი